ლელო

26.VIII–3.IX 1994 წ. ● №28 (10896)

ფასი 100 000 კუპონი, ან 100 რუბლი.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი ამბები

„სპორტის სფეროში გარდამავალ ეტაპზე სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ“ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის 1994 წლის 28 ივლისის №236 ბრძანებულების რეალიზაციის ღონისძიებათა გეგმა ერთობლივად განიხილეს რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტის, სპორტული ორგანიზაციების, ფედერაციებისა და უწყებების პასუხისმგებელ მუშაკთა მონაწილეობით. გეგმა სპორტის დეპარტამენტში შემუშავდა და ბრძანებულებაში გათვალისწინებული ყველა საკითხის პრაქტიკული გადაჭრის გზებს ასახავს.

X X X

გაისად ჩატარდება სრულიად საქართველოს მეორე სპორტული თამაშები — რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტისა და სეოკ-ის ერთობლივი ღონისძიება. როგორც ცნობილია, მეორე თამაშების მასპინძლობის სურვილი გამოთქვა აჭარამ. ადრინდელი დასტური ახლა ეჭვს ქვეშ დადგა. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, დათანხმდება თუ არა ავტონომიური რესპუბლიკის რომელიმე ყველაზე მაღალი ჩინის ხელმძღვანელი სათავეში ჩაუდგეს საორგანიზაციო კომიტეტს.

X X X

ასეთი რამ იშვიათად ხდება, ყოველ შემთხვევაში, როგორც შევიტყვეთ, მსოფლიოში საქართველო იქნება მესამე ქვეყანა, რომლის სპორტული თამაშები ამიერიდან საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პატრონაჟობით ჩატარდება. ეს კი, დაგვეთანხმებით, ბევრს ნიშნავს. როგორც ჩანს, ეს ფაქტი სოკის ხელმძღვანელთა საქართველოში სტუმრობის კიდევ ერთი ღირსსახსოვარი გამოძახილია.

X X X

საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა შეტყობინება მიიღო იმის თაობაზე, რომ ატლანტაში 1996 წლის ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებით ეოკ-ებს უფლება ეძლევათ ერთი წლით ადრე, ე.ი. 1995 წელს თავიანთი ნაკრებები მიავლინონ „ოლიმპიადა-96“-ის დედაქალაქთან ახლომდებარე სპორტულ ცენტრებში სავარჯიშოდ. 2-3 კვირიან წინასაოლიმპიადო მზადებაზე კი ჩვენი სპორტსმენები ოლიმპიური სოლიდარობის ხარჯზე არიან მიწვეულნი.

სპონსორები კვარცხლბეკზე

ამიერიდან ამ რუბრიკით გაგაცნობთ იმ ფირმებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც მატერიალურად ხელს გაუმართავენ ჩვენს ცალკეულ სპორტსმენებს თუ ნაკრებ გუნდებს.

ევროპის ჩემპიონატი სინქრონულ ცურვაში ახალგაზრდებს შორის. მოსკოვი. გუნდის ჩემპიონატში მონაწილეობა დააფინანსეს: ბიზნეს-კლუბმა „ორიონმა“ (პრეზიდენტი მ. გიორგაძე), სამოქალაქო ავიაციის დეპარტამენტმა (ზ. ჭანკოტაძე), ავიაკომპანია „ორბმა“ (ვ. ჯამბაზიშვილი), ავიაკომპანია „მაკო-კავკასიამ“ (ლ. ლაჭავა, გ. კოდუა), ჩვენმა მოსკოველმა თანამემამულემ დ. ლომაიამ.

საჭადრაკო ფესტივალი „კლაიპედა-94“. ამ შეჯიბრებაში საქართველოს მედიკოსთა გუნდს ფინანსურად დაეხმარა საქველმოქმედო ორგანიზაცია „ექტს ჯორჯია ინტერნეიშნლი“.

მოკლედ...

სინქრონულ ცურვაში ევროპის ჩემპიონატი ახალგაზრდებს შორის. მოსკოვი. მონაწილეობდა 18 ქვეყნის 128 სპორტსმენი, მათ შორის 31 სოლისტი იყო. საქართველოს წარმომადგენელმა ალიონა კულიბერდამ დაიკავა IX ადგილი. 28 წყვილს შორის ასევე IX იყო კულიბერდა — ნ. კუჭავას დუეტი. ჯგუფურ ვარჯიშში ჩვენი გოგონები (კულიბერდა, კუჭავა, ხ. გოცირიძე, ქ. ლაკია, ნ. ბართაია, ნ. ჭიშინა — ყველა „შევარდენი“) X ადგილზე გავიდნენ.

X X X

წყალში ხტომაში და ცურვაში ევროპის იუნიორთა პირველობა. პარდუბიცე. 24 ქვეყნის სპორტსმენებს შორის მონაწილეობდა 14 წლის თბილისელი ნანა ყაზარაშვილი. ამ გოგონამ წლეულს გაზაფხულზე, ფინეთში გაიმარჯვა სამმეტრიან ტრამპლინიდან ხტომაში ქ. ვანტას თასის გათამაშებაში და პარდუბიცეში ერთ-ერთ ლიდერად მიაჩნდათ. თუმცა ბევრ გამოცდილ მხტომელს აჯობა, ნანა საბოლოოდ V ადგილს დასჯერდა, რაც უფრო იმის ბრალია, რომ უსახსრობის გამო ვერ მონაწილეობს სოლიდურ ტურნირებში.

უსახსრობის გამო, თუმცა განაცხადი წარდგენილი იყო, პარდუბიცეში ვერ გაემგზავრა ჩვენი ორი მოცურავე — ს. ხეხტოიანი და შ. მწარიაშვილი. ჩაუსვლელობის გამო ევროპის ფედერაციას საქართველოს ფედერაციამ ჯარიმა უნდა გადაუხადოს.

X X X

საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალი „კლაიპედა-94“. ქ. კლაიპედა. შეჯიბრებაში საქართველოს მედიკოს-მოჭადრაკეთა ასოციაციის გუნდი „ექტს ჯორჯია“ მონაწილეობდა (რ. სიგუა, დ. ლობჟანიძე, დ. წერეთელი, ზ. აბრამიძე). ჩვენმა წარგზავნილებმა 14,5 ქულით 12 გუნდთან პაექრობაში პირველობა მოიპოვეს. მეორე იყო მასპინძლების, მესამე — უკრაინის ნაკრები. პირად ჩათვლაში 7-დან 5,5 ქულით III ადგილზე გავიდა თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი რ. სიგუა.

UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

ასე შემართებით, დინამოელებო!

23 აგვისტო. კრაიოვას ცენტრალური სტადიონი. 20000 მაყურებელი. უეფას თასის განმეორებითი საკვალიფიკაციო მატჩი: „უნივერსიტატია“ (კრაიოვა, რუმინეთი) — „დინამო“ (თბილისი, საქართველო) 1-2 (0-1).

მსაჯები: გარსია არანდა, გონსალესი, მერკატო (ყველანი — ესპანეთიდან).

უეფას დელეგატი: ბატა (შვეიცარია).

„უნივერსიტატია“: არკანუ, მიტრიცა, სბურლია, ზამფირი, სანდოი, პაპურა, უნგური, კრაიოვიანუ, განე, სტინგა, ვასკი (პიგულია, კოჟოკარუ).

„დინამო“: ზოიძე (ჩხეიძე), ნემსაძე, ლობჟანიძე, შელია, ინალიშვილი, ყაველაშვილი, ა. არველაძე, ჯამარაული, რ. არველაძე, ქინქლაძე (იაშვილი), შ. არველაძე.

გოლები: ყაველაშვილი, პიგულია, ქინქლაძე, განემ ვერ გამოიყენა 11-მეტრიანი.

გააფრთხილეს სბურლია, უნგური, ზამფირი, ა. არველაძე, ნემსაძე.

გააძევეს ზამფირი.

პირველ მატჩში ორბურთიანი სხვაობით წაგებამ მასპინძლები აიძულა დასაწყისშივე დიდი ძალებით შეეტიათ თბილისელთა კარისათვის, მაგრამ სტუმრებმა ამით კარგად ისარგებლეს და რამდენიმე სწრაფი კონტრშეტევა განახორციელეს. უკვე მე-3 წუთზე თბილისელთა კაპიტანი ყაველაშვილი კარგ პოზიციაში აღმოჩნდა რუმინელთა საჯარიმო მოედანზე, ცრუ მოძრაობით გვერდი აუარა მეკარეს და ზუსტი დარტყმით აიღო „უნივერსიტატიას“ კარი — 1-0.

ასეთმა დასაწყისმა და გაშვებულმა გოლმა რამდენიმე წუთით დააოკა მასპინძლები, დინამოელებმა კი კვლავ რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს დორინ არკანუს კართან, თუმც ძმებმა არველაძეებმა, ჯამარაულმა, ქინქლაძემ საბოლოო დარტყმა უზუსტოდ შეასრულეს. ამასობაში რუმინელები გონს მოვიდნენ და ირაკლი ზოიძეს რამდენიმე მეტად ძნელი ბურთის მოგერიება მოუხდა.

მატჩის მეორე ნახევარში რუმინელთა რიგებში გამოსულმა პიგულიამ შეძლო ანგარიშის გათანაბრება — 1-1. სიტუაცია დაიძაბა, ხოლო კულმინაციას მიაღწია მაშინ, როცა თამაშის დამთავრებას 18 წუთი აკლდა: ესპანელმა არბიტრმა გარსიამ (იგი ობიექტურად გაუძღვა მატჩს) 11-მეტრიანი დანიშნა სტუმართა კარში. რუმინელებმა დარტყმა კრაიოვანუს მიანდვეს, მან კი კარს ააცილა ბურთი. ამის შემდეგ თამაშს უკვე შედარებით მშვიდი ხასიათი მიეცა, მატჩის დამთავრებას სულ 5 წუთი აკლდა, როცა ქინქლაძემ შელიასგან მიიღო გადაცემა და გაიტანა გოლი, რომელმაც ყველაფერს ნათელი მოჰფინა; თბილისის „დინამომ“ შესარჩევ ეტაპზე ორივე შეხვედრა მოიგო — 2-0 და 2-1, ჩვენი გუნდი ყოველგვარ ქებას იმსახურებს, აქტიური, თავდადებული, ენერგიული თამაშით, მონდომებით და პასუხისმგებლობის გრძნობით!

უეფას თასის გათამაშების ოცდამეთორმეტედფინალის წილისყრა დღეს გაიმართა.



ამ დღეებში ზემო ხანდაკში ქართული ჭიდაობის დიდი ზეიმი გაიმართა.
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

იხ. მე-2 გვ.

რაც გაგვაჩნია!

როგორც ვიუწყებოდით, 26-28 აგვისტოს თურქეთში გაიმართება მსოფლიოს მორიგი ჩემპიონატი თავისუფალი სტილით ჭიდაობაში, რომელშიც საქართველოს ხუთი ათლეტიც იასპარეზებს. ამასთან დაკავშირებით ინტერესს მოკლებული არ იქნება, თუ გავიხსენებთ ქართველ მოჭიდავეთა გამოსვლების შედეგებს ამ ავტორიტეტულ შეჯიბრებაში.



თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა პირველ მსოფლიოს ჩემპიონატში, რომელიც 1951 წელს ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკში მოეწყო, საბჭოთა კავშირის და მაშასადამე საქართველოს ათლეტები არ მონაწილეობდნენ. ამას ჰქონდა ობიექტური, იმ დროისათვის ერთობ ძლერადი და არსებითი მიზეზები.

ჯერ ერთი, საბჭოთა კავშირში შექმნილი არ იყო ოლიმპიური კომიტეტი და ამის გამო სპორტული კონტაქტები საზღვარგარეთის სპორტსმენებთან ეპიზოდურად ხორციელდებოდა. შემდეგ სპორტის ბევრ სახეობაში ის-ის იყო იწყებდნენ გაწევრიანებას საერთაშორისო ფედერაციებში. არადა, ამ ფორმალური აქტის გარეშე ოფიციალურ ჩემპიონატებში მონაწილეობა არ იყო ნებადართული.

არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა ე.წ. სოციალისტურ გარანტიებს, რომლის თანახმადაც მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებული ქვეყნის სპორტსმენებს უსათუოდ უნდა გაემარჯვათ სპორტულ შეჯიბრებებშიც. სხვათა შორის, სწორედ ამ მიზეზით არ შედგა ორთაბრძოლა პროფესიული კრივის ჩემპიონ ჯო ლუისსა და მოსკოველ ნიკოლაი კოროლიოვს შორის. ვერც კოროლიოვმა, ვერც მისმა მწვრთნელმა და ვერც კრივის საკავშირო სექციამ ვერ გასცეს გარანტიები, რომ შეხვედრას უსათუოდ კოროლიოვი მოიგებდა. ამავე მიზეზით არ გამოვიდნენ საბჭოთა მოჭიდავეები პირველ მსოფლიო ჩემპიონატზე.

1954 წლისათვის კი (ტოკიო, მსოფლიოს II ჩემპიონატი) სსრკ-ს ოლიმპიური კომიტეტი საერთაშორისო ორგანიზაციის (სოკ-ი) წევრიც იყო და ქვეყნის ჭიდაობის ფედერაციასაც საკმაოდ დიდი საერთაშორისო ავტორიტეტი ჰქონდა. სხვათა შორის, ამ ჩემპიონატზე ყურადღების საგანგებო გამახვილება ღირს იმის გამო, რომ ქვეყნის ნაკრების შემადგენლობაში ექვსი მოჭიდავე იყო საქართველოდან (მირიან ცალქალამანიძე, ვარლამ გიგიაძე, ნიკოლოზ მუზაშვილი, სერგო გაბარაევი, ვახტანგ ბალავაძე, გივი კარტოზია), ერთი ესტონეთიდან (ავგუსტინ ენგლასი) და ერთიც მოსკოვიდან, ოღონდ, ისიც ქართველი (არსენ მეკოკიშვილი). საბჭოთა ფალავნებმა ტოკიოში სამი პირველი (ვ. ბალავაძე, ა. ენგლასი, ა. მეკოკიშვილი), სამი მესამე (მ. ცალქალამანიძე, ნ. მუზაშვილი, ს. გაბარაევი), ერთი მეოთხე (გ. კარტოზია) და ერთიც მეხუთე (ვ. გიგიაძე) ადგილები დაისაკუთრეს, რაც თავისთავად გუნდურ პირველ ადგილსა და თურქეთის ფალავანთა უ[illegible] ჰეგემონიის დამხობას ნიშნავდა (პირველ ჩემპიონატში თურქებმა 6 ოქროს და 1 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს). ამასთან ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ გივი კარტოზიამ — მსოფლიოს ჩემპიონმა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, მესამე თუ მეხუთე წრეში დიდი უპირატესობით აჯობა ირანელ ა. ზანდის, რომელიც ბოლოს და ბოლოს ოქროს მედალს დაეუფლა.

ასეთი დიდი წარმატება საქართველოს მოჭიდავეებს მსოფლიოს ჩემპიონატებში არასოდეს ჰქონიათ, თუმცა თი-

იხ. მე-2 გვ.

ᲠᲐᲪ ᲒᲐᲒᲕᲐᲠᲩᲔᲜᲘᲐ!

(დასასრული)

თო-ოროლა მედალი, ზოგჯერ მეტიც, ჩვენს ათლეტებს თითქმის ყველა მსოფლიოს ჩემპიონატიდან ჩამოჰქონდათ. თითქმისო, ვამბობთ იმიტომ, რომ იყო, რა თქმა უნდა, უძრაობის პერიოდიც, რომელმაც ერთხელ ექვსწლიანი მონაკვეთიც კი (1979-84 წ.წ.) მოიცვა.

სხვათა შორის, სწორედ ასეთი უძრაობის პერიოდში მოხდა ერთი დასანანი ლაფსუსი, რომლის გამოსწორება შემდგომში შეუძლებელი აღმოჩნდა. საქართველოს საჭიდაო სკოლას იმდენად დიდი ავტორიტეტი ჰქონდა საერთაშორისო სარბიელზე, რომ ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ ერთ-ერთი მსოფლიო ჩემპიონატი (70-იან წლებში) თბილისშიც დაგეგმა. ეს ლოგიკური გადაწყვეტილება იყო. ვინაიდან ჩვენ გვქონდა დიდებული სპორტის სასახლე, რომელიც მოჭიდავეთა ტურნირების დღეებში მუდამ გულშემატკივრებით ივსებოდა, გვქონდა დიდებული ტრადიცია და რაც მთავარია, გვყავდა უმაღლესი კლასის მოჭიდავეები, მაგრამ ქართული სპორტის მაშინდელმა მესვეურებმა ამ ღვთის მადლით საბოძებ საჩუქარზე უარი თქვეს და ჩემპიონატი დიდი სიხარულითა და მადლიერების გრძნობით ბელორუსიის დედაქალაქმა „წაიღო".

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ საქართველოს ათლეტთა წარმატებებს მსოფლიო ჩემპიონატებში. ჯერ იმას ვიტყვით, რომ 1954 წლიდან მოყოლებული ცხრამეტ ჩვენს თანამემამულეს მოპოვებული აქვს ოქროს, თერთმეტს — ვერცხლისა და შვიდს — ბრინჯაოს მედალი. პრიზიორთა ცხრილში ისინი ასეთი თანმიმდევრობით არიან განაწილებული:

	ო.	ვ.	ბ.
ლევან თედიაშვილი	4	1	-
ლერი ხაბელოვი	4	-	-
გურამ სალარაძე	2	2	-
ვახტანგ ბალავაძე	2	1	-
შოთა ლომიძე	2	1	-
დავით გობეჯიშვილი	2	1	-
ზარბეგ ბერიაშვილი	1	3	-
გოგი სხირტლაძე	1	1	-
ვლადიმერ რუბაშვილი	1	-	-
მირიან ცალქალამანიძე	-	1	1
ნიკოლოზ მუზაშვილ	-	-	1
სერგო გაბარაევი	-	-	1
ვლადიმერ არსენიანი	-	-	1
ტარიელ ალიბეგაშვილი	-	-	1
ნოდარ ხოხაშვილი	-	-	1
ელდარ კურტანიძე	-	-	1

ეს წარმატებები წლების მიხედვით ასე გამოიყურება:

	ო.	ვ.	ბ.
1954	1	-	3
1957	1	2	-
1959	1	1	1
1961	1	-	-
1962	-	-	-
1963	1	1	-
1965	1	1	-
1966	-	1	-
1967	-	3	-
1969	2	-	2
1970	-	-	-
1971	2	-	-
1973	1	-	-
1974	1	-	-
1975	1	-	-
1977	-	-	-
1978	-	1	-
1979	-	-	-
1981	-	-	-
1982	-	-	-
1983	-	-	-
1985	2	-	-
1986	-	1	-
1987	1	-	-
1989	-	-	-
1990	2	-	-
1991	1	-	-
1993	-	-	1

ამ ცხრილს საჭიროა კიდევ ორი განმარტება დავურთოთ: 1954 წელს არსენ მეკოკიშვილი მოსკოვის სახელით გამოდიოდა, ამიტომ მისი ოქროს მედალი ქართულ სპორტს არ ეთვლება. ლერი ხაბელოვმა მსოფლიო ჩემპიონის მეხუთე ოქროს მედალი 1993 წელს მიიღო, როგორც რუსეთის გუნდის წარმომადგენელმა.

დაბოლოს უფრო დაწვრილებით ჩემპიონატებზე და ჩვენს პრიზიორებზე.

1954. ტოკიო. ვახტანგ ბალავაძე (73 კგ) — I ადგილი. მირიან ცალქალამანიძე (52) — III, ნიკოლოზ მუზაშვილი (62) — III, სერგო გაბარაევი (67) — III.

1957. სტამბული. ვახტანგ ბალავაძე (73) — I, მირიან ცალქალამანიძე (52) — II, გიორგი სხირტლაძე (79) — II.

1959. თეირანი. გიორგი სხირტლაძე (79) — I, ვახტანგ ბალავაძე (73) — II, ვლადიმერ არსენიან (57) — III.

1961. იოკოჰამა. ვლადიმერ რუბაშვილი (62) — I.

1963. სოფია. გურამ სალარაძე (78) — I, ზარბეგ ბერიაშვილი (67) — II.

1965. მანჩესტერი. გურამ სალარაძე (78) — I, ზარბეგ ბერიაშვილი — (70) — II.

1966. ტოლიდო. გურამ სალარაძე (78) — II.

1967. დელი. ზარბეგ ბერიაშვილი (70) — II, გურამ სალარაძე (78) — II, შოთა ლომიძე (97) — II.

1969. მარ-დელ პლატა. ზარბეგ ბერიაშვილი (74) — I, შოთა ლომიძე (100) — I, ტარიელ ალიბეგაშვილი (52) — III, ნოდარ ხოხაშვილი (68) — III.

1971. სოფია. ლევან თედიაშვილი (82) — I, შოთა ლომიძე (100) — I.

1973. თეირანი. ლევან თედიაშვილი (90) — I

1974. სტამბული. ლევან თედიაშვილი (90) — I

1975. მინსკი. ლევან თედიაშვილი (90) — I

1978. მეხიკო. ლევან თედიაშვილი (100) — II

1985. ბუდაპეშტი. ლერი ხაბელოვი (100) — I, დავით გობეჯიშვილი (130) — I.

1986. ბუდაპეშტი. დავით გობეჯიშვილი (130) — II

1987. კლერმონ-ფერანი, ლერი ხაბელოვი (100) — I

1990. ტოკიო. ლერი ხაბელოვი (100) — I, დავით გობეჯიშვილი — (130) — I.

1991. ვარნა. ლერი ხაბელოვი (100) — I.

1993. ტორონტო. ელდარ კურტანიძე (90) — III.

ᲭᲘᲓᲐᲝᲑᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ, ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ...

ᲘᲛ ᲓᲦᲔᲡ, ᲖᲔᲛᲝ ᲮᲐᲜᲓᲐᲙᲨᲘ

წლეულს გაზაფხულზე რესპუბლიკის ქართული ჭიდაობის ფედერაციამ თხოვნით მიმართა რაიონების ხელმძღვანელებს, რათა ზაფხულის პერიოდში ღია ცის ქვეშ ჩატარებულიყო შეჯიბრებები ქართულ ჭიდაობაში. ბევრგან უკვე გაიმართა ასეთი ასპარეზობები, ახლახანს კი კასპის რაიონის სოფელ ზემო ხანდაკში ადგილობრივი მოქალაქეთა კავშირის ინიციატივით მოეწყო ამ სოფლის მკვიდრის, რაიონის ყოფილი გამგებლის, აფხაზეთში გმირულად დაღუპული გენერალ ტარიელ შარიფაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ტურნირი. აქვე ვიტყვით, რომ ზემო ხანდაკში იმდენმა ტიტულოვანმა სპორტსმენმა მოიყარა თავი, ბევრ საერთაშორისო ტურნირს დაამშვენებდა.

უამრავ მაყურებელს შორის იყვნენ საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ჯ. ბაგრატიონი, პარიზელი ქართველი შ. ხელუვანიშვილი მეუღლით. ყველა მოხიბლული დარჩა გორელი, მესტიელი, კასპელი, მცხეთელი, საგარეჯოელი და სხვა რაიონების ფალავანთა ფიცხელი ბრძოლებით. ორგანიზატორებს თანადგომა გაუწია სამბოს რესპუბლიკურმა ფედერაციამ და ამ სახეობაში საქართველოს ნაკრებმა.

წონით კატეგორიებში ამ დღეს იმარჯვეს საგარეჯოელმა გოჩა მეკოკიშვილმა (60 კგ), კასპელმა სოსო იაშვილმა (70), მცხეთელმა ჯონდო მუზაშვილმა (80), კასპელებმა ნუგზარ მამულაშვილმა (90; ეს მოჭიდავე ასაკით უკვე ლაზე უფროსი იყო) და ივანე გამხიტაშვილმა (მძიმე). გუნდურ ჩათვლაშიც წარმატება კასპელმა მოჭიდავეებმა მოიპოვეს. მათვე გადაეცათ ტარიელ შარიფაშვილის გარდამავალი თასი, მეორე ადგილზე გავიდნენ საგარეჯოს, მესამეზე — მცხეთელი ფალავნები.

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲐᲖᲛᲐᲘᲤᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲝᲪᲓᲐᲛᲔᲩᲕᲘᲓᲛᲔᲢᲔᲐ

გამოქვეყნდა მსოფლიოს იმ უძლიერეს მოჭადრაკეთა ერთობლივი კომპიუტერული რეიტინგი, რომელთა მონაცემებიც 2600 ქულას აღემატება. სულ აღმოჩნდა 49 ასეთი მოჭადრაკე. მათში ჩვენი თანამემამულე ზურაბ აზმაიფარაშვილი 2617 ქულით ოცდამეჩვიდმეტეა. პირველი სამეული კი გამოიყურება ასე:

1. გარი კასპაროვი (რუსეთი) — 2807;
2. ანატოლი კარპოვი (რუსეთი) — 2761;
3. ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) — 2721.

ᲙᲠᲘᲕᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

● ტოკიო. აქ გაიმართა მატჩი მსოფლიოს ჩემპიონის გვირგვინისთვის უმჩატეს წონაში მოკრივეთა მსოფლიოს საბჭოს ვერსიით. ერთმანეთს შეხვდნენ ამ ტიტულის მფლობელი, იაპონიაში ერთობ პოპულარული ხაროში კავაშიმა და არგენტინელი კარლოს სალასარი, რომელსაც შედარებით იოლ წარმატებას უწინასწარმეტყველებდნენ. ბრძოლა უაღრესად მძაფრი და დაძაბული გამოდგა. კავაშიმამ, პროგნოზების მიუხედავად, შეინარჩუნა ჩემპიონის ტიტული და საკმაოდ დიდი ჰონორარიც მიიღო, თუმცა, პრესა კონკრეტულ ციფრს არ ასახელებს.

● მეხიკო. იმავე მოკრივეთა მსოფლიოს საბჭოს ვერსიით ჩემპიონის ტიტულისათვის მსუბუქ წონაში იბრძოდნენ ადგილობრივი მოკრივეები, ანხელ გონსალესი და რუდად ხუარესი. გამარჯვება გონსალესს ხვდა.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲨᲘ XV ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ

ᲓᲘᲓᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ

ᲡᲐᲗᲐᲣᲠᲘᲡ ᲗᲐᲝᲑᲐᲖᲔ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲡ ᲐᲛᲗᲐᲕᲘᲗᲕᲔ ᲑᲝᲓᲘᲨᲘ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲛᲝᲕᲣᲮᲐᲓᲝ. ᲑᲝᲓᲘᲨᲘ ᲘᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ, ᲯᲔᲠ ᲔᲠᲗᲘ, ᲘᲡᲔᲗᲘ ᲒᲠᲐᲜᲓᲘᲝᲖᲣᲚᲘ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲔᲑᲖᲔ ᲬᲔᲠᲐ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓᲐᲪ ᲐᲠᲐᲐ ᲘᲝᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲔ, ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲡᲐᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲙᲘ, ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲛᲝᲒᲔᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐᲗ, ᲒᲚᲝᲑᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲘᲡ ᲠᲐᲛᲐᲐ, ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠ ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲡ ᲗᲣ ᲩᲐᲛᲝᲣᲕᲐᲠᲓᲔᲑᲐ...

ჩვენი პლანეტა უკვე კარგა ხანია ფეხბურთს დაუტყვევებია, მის უდიდესობა ფეხბურთს და როცა ქვეყნიერების უძლიერესი გუნდები, მთელი ეს უპირველესი ელიტა ერთად იყრის თავს ერთ ასპარეზზე, ერთ მთლიანობაში, აქ არკვევს პირველი ლაურეატის ურთულეს პრობლემებს, ეს მართლაც სწორუპოვარი სანახაობაა. უზარმაზარი ფიესტა. ამიტომაც ადამიანთაგან მის მიმართ ახლა გულგრილი არავინ რჩება, გვერდზე მიმდგარი არავინაა, უკლებლივ ყველას აინტერესებს რა მოხდა, ან რა ხდება დღევანდელ ფეხბურთში, ვინ რა არის, როგორია ძალთა წონასწორობა, რა იმედებია, რა პერსპექტივები, საით, რა ბილიკებით მიემართება ფეხბურთი, ეს მართლაც საოცარი, საზღაპრო, ამოუცნობი, იდუმალი ფეხბურთი!

მეორეც — მოტევება მკითხველისთვის იმის გამო მომითხოვია, რომ მსოფლიო ჩემპიონატის გაკვეთილებზე და მის ურთულეს თემაზე წერის უფლება მხოლოდ და მხოლოდ იმას აქვს, ვისაც საამისო პროფესიული ცოდნა-განათლება და კვალიფიკაცია გააჩნია, ვინც მხოლოდ საკუთარი თვალით, უშუალოდ მინდორზე, საქმეში ნახა ყველაფერი, კონკრეტულად ადევნა თვალი რთულ მოვლენებს, იქვე, ასეთივე ავტორიტეტულ, კომპეტენტურ პიროვნებებთან განიხილა, ზუსტი ანალიზის თვალსაზრისით შეაფასა ვითარება, აწონ-დაწონა [illegible] და [illegible] მონაპოვარიც და დანაკარგიც, ძველიც და ახალიც, და მერე ეს ყველაფერი ფართო აუდიტორიას წარუდგინა სამსჯავროდ და განაჩენის გამოსატანად. ფართო აუდიტორია ეს მკითხველია, ფეხბურთის მოყვარული, გულშემატკივარი, ფართო აუდიტორია ეს თქვენ ბრძანდებით!

მე კი, აბა, რა შემიძლია გითხრათ, რით გაგაკვირვოთ, რით მივიპყრა თქვენი ყურადღება, როცა არც ამერიკაში ვყოფილვარ, არც თამაშები მინახავს ტრიბუნიდან, არც ჩემპიონატის ატმოსფეროთი მისუნთქია, არ დამილანდავს არც რომარიო, არც ბებეტო, ან ჰაჯი, სტოიჩკოვი, რობერტო ბაჯო და სხვანი მრავალნი და ტელევიზორთან ღამენათევი, ფაქტობრივად, ცალკეული ფრაგმენტების მხილველი, ზუსტად იმისა, რაც თქვენ თვითონვე ჩემს მსგავსად ნახეთ, ვკადნიერდები, ჩემპიონატის გაკვეთილებზე გემასლაათოთ.

ვიმეორებ, მსოფლიოს XV საფეხბურთო ჩემპიონატი, მისი თითოეული მატჩი, მე მხოლოდ ტელეგადაცემით ვნახე, ე.ი. არსებითად მარცხენა თვალით, გარეშე მოსიერეს კვალობაზე და როცა ჩემს ამ დღევანდელ ნაკლიან სტატუსს ვადარებ სხვა ჩემპიონატებს, რომლებსაც უშუალოდ დავსწრებივარ ჟურნალისტთა კომფორტული ლოჟიდან, უამრავი საერთაშორისო ავტორიტეტული სპეციალისტით გარშემორტყმულს, ვხედავ, ცხადად ვხედავ, რომ რაღაცა აშკარად მაკლია, ეს „რაღაცა" კი ნაღდი ნათელმხილველის თვალი გახლავთ.

მაგრამ მსოფლიო ჩემპიონატს უშუალოდ მინდორზე წარმოებული ბრძოლის გარდა სხვა მრავალი ატრიბუტიც საკმარისად ახლავს, ამიტომაც სურვილი მაქვს ის საერთო მოსაზრებები გავანდო მკითხველს.

მაშ ასე, შევუდგეთ.

პირველი, რაც მაწუხებს მეც და, ალბათ, თქვენც, ეს ის გახლავთ, რომ სადღეისო მსოფლიო ჩემპიონატის ფორმულა, მისი გათამაშების მოდუსი, წესი და სტრუქტურა ვერაა მთლად სრულყოფილი. სრულყოფილი კი არა და, ახლოსაც ვერაა იდეალთან.

მართლაც, თუ გათამაშების თავდაპირველ ეტაპზე, ე.ი. შესარჩევ პერიოდში, ჩვენს ამ ვეებერთელა დედამიწას საგულდაგულოდ, საგანგებოდ ანაწილებენ საკვალიფიკაციო ზონებად, მონაწილე ქვეყნებს აქუცმაცებენ ზონებად კონტინენტების, მხარეების შესატყვისად, ქმნიან ავსტრალიის, აზიის, ცენტრალური ამერიკის, კონკაკაფის, ოკეანიის, აფრიკისა და სხვა მრავალთა და მრავალთა წინასწარ ზონებს, აქაურ შესარჩევ თამაშებს. მთელი მსოფლიო გაფაციცებით ადევნებს თვალს, ვარაუდობს, ანგარიშობს, მკითხაობს, მარჩიელობს და მომავალი ფინალის მოლოდინით ცხოვრობს. ფინალში კი, მოგეხსენებათ, მხოლოდ 24 გუნდს აქვს სანატრელი ვიზა, აქაც წინასწარი ადგილები სულ ორ ბედნიერს განეკუთვნება, და სავსებით კანონიერადაც, მსოფლიოს წინა ჩემპიონსა და გათამაშების ორგანიზატორ ქვეყანას. ან შეიძლება კი ფინალში არ მონაწილეობდეს მსოფლიო ჩემპიონი და მასპინძელი სახელმწიფო? აბსურდია!

და აი, სწორედ მაშინ, სწორედ აქ, ამ გადამწყვეტ ფაზაზე, ფინალში იწყება გაუგებარი შეუსაბამობანი. 24 გუნდი ერთობ ძნელი გასანაწილებელია ლოგიკურ, წმინდა სპორტული პრინციპით გამართლებულ თანაბარ გუნდებად. ექვსი ჯგუფი კი იქმნება პირველდაწყებითი, ხელახალი საკვალიფიკაციო თამაშების გასამართავად, მაგრამ როგორ გინდა ექვსი ჯგუფიდან გამოავლინო 16 საუკეთესო, რომლებიც მერვედფინალში გააგრძელებენ ბრძოლას? მერვედფინალის კვოტა — ეს 16 გუნდია. ამიტომაც ჯგუფებში გამარჯვებულ კანონიერ ორ-ორ გუნდს (12) უმატებენ კიდევ ოთხს, რათა ყველაფერმა ზუსტ მათემატიკურ თექვსმეტს მიაღწიოს და მერე, უკვე ოლიმპიური წესით, ყველაფერი ნორმის შესაბამისად მიედინება: მეოთხედფინალი (8 გუნდი), ნახევარფინალი (4) და ფინალი (2).

მაგრამ ექვს გუნდს შორის როგორ გინდა შეარჩიო ის ოთხი, რომლებიც ესოდენ საჭირო და აუცილებელ ნორმას შეავსებენ? აი, აქ იწყება კაზუსები: ოთხ გუნდს შორის ხვდებიან ისინი, ვისაც წინასწარ ჯგუფში უკეთესი შედეგები აქვთ (ქულათა მეტი რაოდენობა, გატანილი ბურთები და ა.შ.), მაგრამ წინასწარი ჯგუფები ძალიანაც რომ ეცადონ, ვერავითარ შემთხვევაში ერთნაირი სიძლიერისა ვერ იქნება. ერთს, ვთქვათ, მეტოქეებად ჰყავს გერმანიის, ესპანეთისა და ბოლივიის გუნდები, მეორეს — იტალიელები, ირლანდიელები და მექსიკელები, მესამეს — ბრაზილიელები, კამერუნელები და შვეციელები და ა.შ. ასეთ ჯგუფებში ნათამაშევი მატჩების შედეგები მეტისმეტად პირობითია და საერთო მნიშვნელის გამოძებნაც ძალზე ჭირს. შესაძლოა, ერთის მიერ დაგროვებული 4 ქულა მეორის ამდენივე ქულას სულაც არ შეეფარდება. ამიტომაც მერე საქმეში უნდა ჩაერიოს გატანილი და მიღებული ბურთების სხვაობა, გოლების რაოდენობა და სხვა მათი მსგავსი „დამხმარე" ფაქტორები, რაც აშკარად უთანაბრო პირობებში აქცევს სხვადასხვა გუნდებს. ხომ გახსოვთ რუსეთის აშკარად სუსტმა, მრავალი ინტრიგითა და შინაური გაწევ-გამოწევით დაუძლურებულმა ნაკრებმა, სრულიად შემთხვევით ანგარიშით 6-1 რომ მოუგო კამერუნის გუნდს და კინაღამ მერვედფინალში არ ამოყო თავი!

ამიტომაც, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე უნდა მოხვდეს ან 16 ან 32 გუნდი. ამას მოითხოვს არა უმაღლესი მათემატიკა, არამედ ელემენტარული, სასკოლო არითმეტიკა.

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციაც ახლა ამ პრობლემით გახლავთ დაკავებული და უკვე გადაწყვეტილი აქვს მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში (საფრანგეთი) 32 გუნდი დაუშვას.

კეთილი და პატიოსანი. ეს უკვე დადგენილია და გადაწყვეტილი. მაგრამ თქვენ, მკითხველო, ის როგორ გეჩვენებათ, ლოგიკურია თუ არა, რომ ფინალური შეჯიბრება ჯგუფებში წრიული სისტემით იწყება და მერე, უკვე მაშინ, როცა ასპარეზზე მხოლოდ რჩეულნი და საუკეთესოები, ნამდვილი ელიტა შემორჩება, როცა იწყება აპოგეა, როცა ყველა გზა უმაღლესი მწვერვალისკენ მიემართება, როცა ინტერესიც და დაძაბულობაც შეუდარებლად მატულობს და შემთხვევითობის ყოველგვარი ელემენტი, შეძლებისდაგვარად, მინიმუმამდე უნდა დავიდეს, როცა ყველაფერი ზენიტს აღწევს, ძალაში შედის უკვე ე.წ. ოლიმპიური წესი და წაგებულიც უმალ ეთიშება გათამაშებას. რა ლოგიკაა ეს — სტარტზე გუნდს მანევრირების, ტაქტიკური ვარიაციების საშუალება აქვს, საბოლოო გადამწყვეტ ეტაპზე კი შესაძლოა ყველაფერი შემთხვევითობამ გადაჭრას. ფეხბურთში ხომ ხშირად ხდება მოულოდნელობანი!

ანდა, ლოგიკურია ის, რომ სულ ბოლო, ფინალურმა მატჩმა გამარჯვებული თუ ვერ გამოავლინა, მაშინ ყველაფერი, ე.ი. ჩემპიონის პრობლემა დამატებითმა 11-მეტრიანებმა გადაწყვიტოს? მართალია, 11-მეტრიანები ფეხბურთის ერთ-ერთი უმთავრესი შემადგენელი ელემენტია და ფრიად აზარტული სანახაობაა, როცა ასეთი დარტყმების სერია სრულდება, დაძაბულობაც მაქსიმუმს აღწევს, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონატის გამოვლენა ამგვარი ხერხით მთლად მართებული არა მგონია იყოს. 11-მეტრიანი, მაინც, ლატარიაა, ლატარია კი, მოგეხსენებათ, ამ შემთხვევაში უადგილო რამ გახლავთ, ცოტა არ იყოს — არასპორტულიც. ხომ გახსოვთ ბრაზილიისა და იტალიის გუნდების ფინალურ შეხვედრაში 11-მეტრიანებზე ხელი მოეცარათ გამობრძმედილ, ნაცად ოსტატებს, რობერტო ბაჯოს, ბარეზის, სანტოსს, მა[illegible]როს... ამიტომაც, ჩვენი აზრით, უნდა აღდგეს ძველი მართებული წესი — ხელახალი, განმეორებითი ფინალური მატჩი ჩემპიონის გამოსავლენად. ასე იყო უწინ, ასე უნდა დარჩეს მომავალშიც.

მაგრამ ხომ შესაძლებელია, დამატებითი მატჩიც ხელახლა ფრედ დამთავრდეს და იმ ხელახალმა 120 წუთმაც ვერ გამოავლინოს მსოფლიო ჩემპიონი? ფეხბურთში რა არ ხდება! აი, მაშინ კი, როცა სხვა გზა უკვე აღარაა, ჩემპიონობის პრეტენდენტებმა თავიანთი ბედი 11-მეტრიანების სერიით უნდა სცადონ: ლატარიაა ეს თუ არა, ამ შემთხვევაში ყველაფერი დამატებითმა პენალტებმა უნდა გადაწყვიტოს. მესამე მატჩზე ლა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

პირველი ჯგუფი

18-20 აგვისტო, II ტური

„დინამო“ (თბილისი) — **„კოლხეთი-1913“** (ფოთი) 4-0. მსაჯები: თ. ლაცაბიძე (სურამი), ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში).

„დინამო“: ზოიძე, ნემსაძე, შელია, ლობჟანიძე, ინალიშვილი, ყაველაშვილი, რევიშვილი, ჯამარაული, რ. არველაძე, ქინქლაძე (ცქიტიშვილი), შ. არველაძე.

„კოლხეთი-1913“: გვასალია, მიქაბერიძე, კაკაჩია, მაჭავარიანი, გიგატაძე, ლალანიძე, კიკლიაშვილი, გოროზია, დარასელია, კუნთელია (დანელია), დ. მახარაძე (ჯულელი).

გოლები: ყაველაშვილი (2), ჯამარაული, ქინქლაძე.

ამ მატჩს თბილისელები განიხილავდნენ როგორც რუმინეთის „უნივერსიტატიასთან“ განმეორებითი მატჩისწინა რეპეტიციას, თანაც ერთმანეთს ქვეყნის ჩემპიონი და მეორე გუნდი ხვდებოდნენ. ორივე გუნდი უძლიერესი შემადგენლობით წარსდგა მაყურებლის წინაშე.

პირდაპირ ვიტყვით, ბრძოლა ვერ ვიხილეთ: დინამოელებმა ყველა კომპონენტში დაჩაგრეს მეტოქე და ის ორიოდე საგოლე მომენტიც, რომელიც მათს კართან შეიქმნა, უფრო შეიძლება თბილისელთა მცველების უყურადღებობას და მოდუნებას მივაწეროთ.

სხვა მატჩების ტექნიკური შედეგები:

„მეტალურგი“ (რუსთავი) — „გურია“ (ლანჩხუთი) 1-0

„დურუჯი“ (ყვარელი) — „დილა“ (გორი) 3-0

„კახეთი“ (თელავი) — „ტორპედო“ (ქუთაისი) 0-2

„ივერია“ (ხაშური) — „მარგვეთი“ (ზესტაფონი) 0-0

„დინამო“ (ზუგდიდი) — „შევარდენი-1906“ (თბილისი) 2-2

„საპოვნელა“ (თერჯოლა) — „დინამო“ (ბათუმი) 0-3

„სამგურალი“ (წყალტუბო) — „სამტრედია“ (სამტრედია) 1-1

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

● **იტალიის** „ფიორენტინამ“ მიონხენგლადბახის (გერმანია) „ბორუსიას“ ერთი წლის ვადით დაუთმო ეროვნული ნაკრების მოთამაშე შტეფან ეფენბერგი და ამ გარიგებაში 1,6 მილიონი დოლარი მიიღო (თანხის ნაწილი, ბუნებრივია, ფეხბურთელსაც ერგება). რაც შეეხება ხელფასს, ეფენბერგი მას „ფიორენტინიდან“ მიიღებს, როგორც ჯერჯერობით ამ კლუბის მუდმივი წევრი. იტალიის კლუბთან ხელშეკრულება გერმანელ ფეხბურთელს 1997 წლამდე აქვს გაფორმებული.

● **დიეგო** მარადონას შეუძლია გახდეს ავტომობილისტი, თუ მიიღებს ცნობილი არგენტინელი პილოტის ხორხე იოხანარტას წინადადებას და გამოვა ტურისტული კლასის ავტომანქანების შეჯიბრებაში, რომელიც სექტემბრის პირველ ნახევარში უნდა გაიმართოს. შეჯიბრების წესებით ყოველი ეკიპაჟი შედგება ორი ძირითადი და ორი სათადარიგო მძღოლისგან. მარადონას პასუხის მიღებამდე დაუზევეს მეორე პილოტის ადგილი. ამასობაში საფრანგეთის მსხვილმა გამომცემლობამ „ედიტიონს რობერტ ლაფონტმა“ კონტრაქტი გააფორმა არგენტინელ ფეხბურთელთან წიგნის გამოცემის თაობაზე. პირობა ერთია — მარადონას ნაწარმოები ავტობიოგრაფიული ხასიათისა უნდა იყოს.

● **სახელოვანმა** ჰოლანდიელმა ფეხბურთელმა ფრანკ რაიკაარდმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ამიერიდან აღარ ითამაშებს ეროვნულ ნაკრებში. ევროპისა და მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატებისათვის უკვე ასაკში ვიქნები და სარგებლობას ვერ მოვუტან ჩემს ქვეყანასო, — თქვა რაიკაარდმა, რომელსაც ქვეყნის მთავარ გუნდში 74 ოფიციალური მატჩი აქვს ნათამაშევი.

● **შვედმა** თავდამსხმელმა, 27 წლის კენეტ ანდერსონმა აშშ-ს მსოფლიო ჩემპიონატზე ფეხბურთის სპეციალისტთა ყურადღება მიიპყრო და ჟურნალისტთა ბევრი საქებარი სიტყვა დაიმსახურა. ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ, ბუნებრივია, რამდენიმე წინადადებაც მიიღო. სხვაზე მეტად მას თვალი დაადგა მადრიდის „ატლეტიკოს“ პრეზიდენტმა ხესუს ჰილმა. მიმდინარეობს საიდუმლო მოლაპარაკება პრეზიდენტის წარმომადგენელსა და საფრანგეთის „ლილის“ ხელმძღვანელობას შორის.

● **მას შემდეგ**, რაც არგენტინელმა კლაუდიო კანიჯამ მსოფლიოს ჩემპიონატის წინ მოიხადა 13-თვიანი სასჯელი დოპინგის მიღებისთვის და, როგორც ჟურნალისტები ამბობენ, ჭკუაზე მოვიდა, ნელ-ნელა თავისი პირადი ცხოვრების მოწყობაზეც დაიწყო ფიქრი. როგორც ირკვევა, პირობები, რომელსაც მას იტალიის „რომა“ სთავაზობს, აღარ აკმაყოფილებს. ცნობილი გახდა, რომ კანიჯამ შესაძლოა თავი მიანებოს „რომას“ (სადაც ახლა „დაბალი“ წლიური ხელფასი აქვს — 630 ათასი დოლარი) და პორტუგალიის მიაშუროს, სადაც „ბენფიკაში“ ელოდებიან. თავად ფეხბურთელის განცხადებით ეს გარიგება შედგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელფასს მოუმატებენ.

● **1993 წლის** აგვისტოში, მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ ურუგვაის ნაკრები მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის ფინალში ვეღარ ითამაშებდა, გადადგა ქვეყნის ეროვნული გუნდის უფროსი მწვრთნელი ლუის კუბილა. თითქმის მთელი ერთი წლის განმავლობაში ეს პოსტი ვაკანტური იყო. ახლა ცნობილი გახდა, რომ ურუგვაის ნაკრების ახალ მწვრთნელად დაინიშნა ექტორ ნუნიესი, საკმაოდ პოპულარული სპეციალისტი, რომელიც ადრე კოსტა-რიკის ეროვნულ გუნდთან მუშაობდა.

● **ესპანეთის** „ბარსელონამ“ ხუან ანტონიო გოიკოეჩეა გაუცვალა ბილბაოს „ატლეტიკოს“ ნახევარმცველ ხავიე ესკურსაში. „ატლეტიკო“ ამ ხელშეკრულების თანახმად კატალონიელებს 100 მილიონ პესეტს გადაუხდის.

● **კლაგენფურტში** გაიმართა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ავსტრიისა და რუსეთის ნაკრებ გუნდებს შორის. თამაში დამთავრდა სტუმრების გამარჯვებით — 3-0

● **დანიის** ნაკრებმა მიიღო ფინეთის გუნდი, დაძაბულ ბრძოლაში მოგება მასპინძლებს ხვდათ წილად — 2-1.

● **მოსკოვში** გაიმართა ცნობილი სპარტაკელი ფეხბურთელის ფ. ჩერენკოვის გამოსათხოვარი მატჩი. მისი გუნდი „სპარტაკი“ (მოსკოვი) შეხვდა იტალიის ცნობილ კლუბს, 1993 წლის ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის მფლობელს „პარმას“. თამაში დამთავრდა ფრედ — 1-1.

კრიმინალური ქრონიკა

● **ბოლივიის** ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების თავდამსხმელის ალვარო პენიას ოჯახში კინაღამ უბედურება მოხდა. ალვარომ ზომაზე მეტად ნერვიულ მეუღლეს უარი უთხრა განქორწინებაზე. ამ უკანასკნელმა ქმარს ოთხი ჭრილობა მიაყენა დანით და კინაღამ დაუზიანა ფილტვები. ფეხბურთელი გადარჩა, მაგრამ საქმეს პოლიცია იძიებს.

● **თურქეთის** სასამართლომ დაუსწრებლად 22-თვიანი პატიმრობა მიუსაჯა ამ ქვეყნის ყოფილ ფეხბურთელს ტანჟუ ჩოლაკს, რომელიც მართლმსაჯულებას მაკედონიაში ემალებოდა. საქმე ის გახლავთ, რომ ჩოლაკს ბრალად ედება ნაქურდალი მერსედესით ვაჭრობა. მაკედონიის ხელისუფლებამ გადაწყვიტა გადასცეს თურქეთს დამნაშავე ფეხბურთელი.

● **დაკავებულია** ჩეხი ფეხბურთელი — ლეგიონერი მიხაილ ვანია, რომელიც თამაშობდა მალაიზიის ლიგაში, სინგაპურის ერთ-ერთ გუნდში. მას ბრალად ედება ქრთამის აღება განსაკუთრებით დიდი ოდენობით. ვანია „შეკრული“ ყოფილა ბუკმეკერებთან და ამა წლის 8 მაისიდან 30 ივლისამდე რვა კალენდარული მატჩი „გაყიდა“. დაკავებულია და პასუხისგებაშია მიცემული, აგრეთვე, მსაჯი რაჯამანიკი, რომელმაც ერთ-ერთ შეხვედრაში ქრთამის სახით აიღო 2 ათასი დოლარი.

ჩემპიონატის ექო

გაკვეთილები

პარაკიც ზედმეტია!

მაპატიოს მკითხველმა და რა გამოდის: ერთ შემთხვევაში დამატებით 11-მეტრიანებს ლატარიას ვარქმევთ, მეორე შემთხვევაში კი ისევ იმ შეჩვენებულ ლატარიას ვთავაზობთ? სადაა საღი აზრი? სადაა ლოგიკა?

ლოგიკა, მართლაც, ან სულ არაა, ან თუა — ძალიან ცოტა, ძალიან მცირე, მაგრამ ჩვენ განსაკუთრებული, საგანგებო სიტუაცია მოვიხსენიეთ, სხვა გზა როცა აღარ ჩანს, როცა სხვა საშუალება არაა, თუმცა, ჩემი მოსაზრებით, თუ ეს შესაძლებელია, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპი საერთოდ, ალბათ, სულ სხვაგვარად უნდა გაიმართოს. და აი, როგორ:

მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის მეორე ეტაპზე, მეოთხედფინალიდან მოყოლებული (ე.ი. როცა 8 გუნდი დარჩება) თამაშები საჭიროა გაიმართოს წრიული, მხოლოდ წრიული სისტემით, კლასიკური პრინციპით: თითოეული გუნდი — თითოეულთან. ეს უძლიერესი რვა ნაკრები უკლებლივ ყველა მეტოქეს უშუალოდ შეხვდება პერსონალურად და, ჩვენი აზრით, არავითარი შემთხვევითობა არ მოხდება, ან თუ მოხდა — ნაკლებად. ეს ვარიანტი ქრესტომათიულია, ნაცადი, აპრობირებული, ყოველმხრივ შემოწმებული, ტრადიციული. მაშინ ყველაფერი რიგზე დადგება.

მაგრამ ვადები? — იკითხავთ თქვენ. ეს კლასიკური სისტემა ხომ დიდ დროს მოითხოვს, მსოფლიო ჩემპიონატი კი შეიძლება მეტისმეტად გაჭიანურდეს. სადაა საამისო დრო და შესაძლებლობა.

ამიტომაც წრიული სისტემით შეჯიბრების გამართვა, ჩემი აზრით, საჭიროა არა ჩემპიონატის დასაწყისში, არამედ დასასრულს, ფინიშზე, ხოლო სტარტზე, იქნება ეს 24 თუ 32 გუნდის მონაწილეობით სულ ერთია, ჩემპიონატი შეიძლება ოლიმპიური განაწესით დაიწყოს, ე.ი. ბრაზილია შეხვდება, ვთქვათ, ნიგერიას, გერმანია — ბოლივიას, იტალია — კოლუმბიას, რუსეთი — მისგანვე დაჩაგრულ კამერუნს და ასე შემდეგ. ამ მეთოდით გამოვლინდება რვა საუკეთესო გუნდი, ისინი კი თავიანთ შემდგომ დავას კლასიკური ტურნირის მეშვეობით განაგრძობენ. ანაზღეული მომენტებიც მოიკლებს, ხანგრძლივობაც მატჩებს შორის უფრო კომპაქტური და მჭიდრო იქნება.

ეს მართლაც, მნიშვნელოვანი ფაქტორია მსოფლიო ჩემპიონატებზე — დრო და ვადები! განვლილი გათამაშება ამერიკის სტადიონებზე ზუსტად ერთ თვეს გაგრძელდა, ამაზე მეტს კაცი ვერც მოითხოვს, მაგრამ, არა მგონია, შეცვლილი სისტემისას ეს ერთი თვე კიდევ უფრო გახანგრძლივდეს, ვინაიდან, უბრალოდ, ჩვენ ვთავაზობთ ჯერ ოლიმპიურ, გამოთიშვით წესს, შემდეგ კი წრიულს, და არა პირიქით. ახლანდელ სასტარტო ეტაპზე, ხომ გახსოვთ, სათამაშო ინტერვალები როგორი იყო? ბრაზილიელებს, მაგალითად, მატჩებს შორის რამდენიმე დღე შესვენება ჰქონდათ, ასეთივე პაუზებით ითამაშეს იტალიელებმაც და გერმანელებმაც, არგენტინელებმაც და ბულგარელებმაც. ყველა ეს ინტერვალი, კაცმა რომ თქვას, არც სასარგებლო იყო და არც საჭირო, ამიტომაც მისი რეკონსტრუქცია და ოპტიმალურ გაბარიტებში მოქცევა ძნელი საქმე არ უნდა იყოს. მსოფლიო ჩემპიონატებს თავისი განმგებლები ჰყავს, კალენდრის კომპაქტურობა მისი შემდგენლების პრობლემაა და კეთილი ინებონ თავიც იმათ მოაბან ამ საქმეს.

შესაძლოა, მთელი ეს იდეა ბევრს დილეტანტი, მოცლილი კაცის თავშესაქცევად მოეჩვენოს, მაგრამ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია თუ რევიზორის თვალით გადახედავს მსოფლიო ჩემპიონატის გამართვის ფორმულას, ვინ იცის, ვინძლო სრულიად ახალი, კონსტრუქციული, სპორტული თვალსაზრისით გაწონასწორებული, რაციონალური და დასაბუთებული ვარიანტი შეიმუშაოს. ვფიქრობ, ღირს ეს საქმე სადისკუსიოდ და საკამათოდ.

ახლა XV ჩემპიონატის დისიდენტებზე ვისაუბროთ.

ვინ დისიდენტი, რა დისიდენტიო, იკითხავს მკითხველი, სად ფეხბურთი და სად დისიდენცია. რა კავშირი აქვთ, ან რა ესაქმებათ მათ ერთმანეთთან?

დისიდენტი ლათინური გამოთქმაა და სიტყვასიტყვით ნიშნავს პიროვნებას, რომელიც არ ეთანხმება რამეს, წინააღმდეგია, ოპოზიციონერი და, თუ გნებავთ, შეურიგებელიც, ე.ი. მაგიდის მოპირდაპირე მხარეს მჯდომი კაცი. მე იმ ხალხზე მოგახსენებთ, ვისაც გადაჭრით და კატეგორიულად არ მოეწონა განვლილი მსოფლიო ჩემპიონატი, მისი მატჩების სპორტული დონე და პრინციპულად დადგა XV მსოფლიო ჩემპიონატის კონტრპოზიციაზე.

ასეთები, თურმე, საკმაოდ არიან. მათ თავიანთი მოსაზრებები, თავიანთი კრიტერიუმები გააჩნიათ, ჩვენგან მკვეთრად განსხვავებული შეხედულებები, და ამ შეხედულებებს, რომ იტყვიან, მკერდით იცავენ.

რითია ეს ხალხი უკმაყოფილო?

უმთავრესად, ორი მომენტით. ჯერ ერთი, ეს რა მსოფლიო ჩემპიონატიაო, ამტკიცებენ, როცა მსოფლიო ფეხბურთს დღეს აღარა ჰყავს ის აშკარად გამოკვეთილი, აღიარებული, ნაღდი, ასპროცენტიანი ავტორიტეტები და ფავორიტები, როგორებიც ოდესღაც თავის დროზე იყვნენ ურუგვაი და იტალია, ბრაზილია და გერმანია, ჰოლანდია და არგენტინა. აი, ეს გუნდები გახლდათო, ამბობენ ისინი, ნამდვილი ძლიერი, ნამდვილად ყოვლისშემძლე გუნდები, რომელთა მსოფლიო ჩემპიონობა და პრიორიტეტი არავისში ეჭვის ნატამალსაც არ იწვევდა, რომელთა დიდი მიღწევები ყოველმხრივ გამართლებული, დასაბუთებული, კანონიერი და არგუმენტირებული გახლდათ. ამ გუნდებმა თავის დროზე მთელი ეპოქა, ახალი ერა შექმნეს, ფეხბურთი წინ წასწიეს, ახალი სული შთაბერეს ამ უკვდავ თამაშს და წარუშლელი, სასიამოვნო მოგონებაც დაგვიტოვეს, თუმცაღა მას შემდეგ უკვე ათეული წლები გავიდა.

მართალია ეს? სწორია?

რაც მართალია, მართალია! მე მახსოვს, მაშინ ბალღი ვიყავი, როცა ურუგვაელებმა ორჯერ მოიპოვეს მსოფლიო ჩემპიონობა, მათზე არაკები დადიოდა ჩვენში. პირდაღებული ვუსმენდით უფროსების ზღაპრებს — ურუგვაელთა ცენტრფორვარდს ისეთი საშინელი სიძლიერის დარტყმა აქვს, შტანგებს ლეწავსო და ამიტომაც მარჯვენა ფეხზე პლომბი დაადეს, ვინმე არ შემოაკვდესო, გარდა ამისა, ურუგვაელებს თურმე, კარში ვეება გორილა უყენიათ, მისთვის გოლის გამტანი არავინააო (ადამიანთა სპორტულ თამაშში ველური მხეცი გაგონილა?!). ვუსმენდით და გვჯეროდა!..

კარგი, ყველაფერი ეს, ვთქვათ, მითოლოგიის ეპოქის იგავებია და მითოლოგიისავე სფეროს განეკუთვნება, მაგრამ სულ ახლახანს არ იყო, რომ ბრაზილიელებმა მსოფლიო ფეხბურთი ერთიანად ამოაყირავეს და გაუგონარი ფურორი მოახდინეს? ეს გუნდი 1958, 1962, 1970 წლების ნიმუშისა, ისეთი ძალისა გახლდათ, რომ მისი გამეორება ახლა ძალიან ძნელი საქმეა. მე პირადად ბრაზილიის ნაკრები პირველად 1965 წლის 4 ივლისს ვნახე მოსკოვში და, მართალი გითხრათ, გაოგნებული, განცვიფრებული დავრჩი: ამგვარი ფეხბურთი თუ ამქვეყნად არსებობდა, სიზმრადაც ვერ წარმომედგინა! ფანტასტიკა, ნამდვილი ფანტასტიკა, ხილული საოცრება!

გნებავთ, აიღეთ 1974, 1990 წლების გერმანიის ნაკრები — შეუცდომელი დეტალებისა და ნაწილებისაგან აწყობილი, გამოზომილი, გამოთვლილი, გაწონასწორებული ურთულესი მექანიზმი, რომელსაც მუშაობაში წუნი არ ჰქონდა.

ახლა?

ახლანდელი მსოფლიო ჩემპიონი ბრაზილიის ნაკრები, გვეუბნებიან დისიდენტები, განა ძველის მხოლოდღა მკრთალი აჩრდილი არ არის? ცა და დედამიწა! რა შედარებაა.

ანდა არგენტინის ახლო წარსულის გუნდი? სად იყო XV ჩემპიონატზე მსგავსი რამ?

გამოდის, რომ ოპოზიციონერები არ ტყუიან, მათი არგუმენტებიც ძნელი გასაბათილებელია. რა ევროპის ჩემპიონია მაგალითად, ჩვენს შორის რომ ვთქვათ, დანია, რომელმაც ესოდენ მაღალი და პრესტიჟული წოდება 1992 წელს მოიპოვა. ვის გინდა ამნაირი ჩემპიონი აჩვენო, ვინ გინდა დაარწმუნო დანიელთა სიძლიერეში, როცა მან მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ პროცედურასაც კი ვერ გაართვა თავი და ამერიკას საერთოდ ვერ მიაღწია. დანია აშკარად არ იყო ევროპის პირველი ლაურეატობის ღირსი, ამ რანგში, როგორც იცით, მან ვერ გაამართლა, ვერ ასწია ჩემპიონის მძიმე ტვირთი.

სკეპტიკოსთა უკმაყოფილების მეორე მომენტია ის, რომ მსოფლიო ფეხბურთს ახლა, დღევანდელ ეტაპზე არა ჰყავს გამორჩეული, აღიარებული, ნაღდი ჰეგემონი, ზეცით მინიჭებული თვისებებით დაჯილდოებული ფენომენი, რომელიც თავისი თამაშის ინდივიდუალური კლასით ახალ სიტყვას იტყოდა ფეხბურთში, ისე, როგორც ეს ადრე, ასევე მსოფლიო ჩემპიონატებზე გააკეთეს პელემ, მარადონამ, ბეკენბაუერმა, კრუიფმა, გარინჩამ, მიულერმა, ზეელერმა, უფრო ადრე კი ზამორამ, სტაბილემ, ზიზინიომ, ლეონიდასმა, პიოლამ, ადემირმა, ანდრადემ, პუშკაშმა, კოჩიშმა, ბ. ჩარლტონმა და მრავალმა სხვამ. მათი სახელები სამუდამოდ შემორჩა მსოფლიო ფეხბურთის ოქროს წიგნს.

აქაც, თითქოს, ვერ შეედავები ჩვენს პატივცემულ ოპონენტებს. განვლილი მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშე, მისი გმირი და მახვილი გამოდგა რომარიო, ღირსეული კონკურენტი და პირველი ლაურეატის წოდების მოცილე ამერიკაში მას არა ჰყოლია (მარადონამ, უკვე მობერებულმა, იქ სულ ორი მატჩი ითამაშა), მაგრამ ვინ იტყვის, რომ რომარიო ახალი პელეა ან გარინჩა, მარადონა ან ბეკენბაუერი, კრუიფი ან პუშკაში. ვინ დაობს: რომარიო შესანიშნავი ფეხბურთელია, ძალიან ნიჭიერი, პერსპექტიულიც, ელეგანტურიც, მაგრამ ეს სუპერვარსკვლავი და რევოლუციონერი არ გახლავთ, ვერც სტანდარტის დონეს ვერ სცდება და არც ოლიმპის ღირსია. აშკარაა, ფაქტია! სხვებს კი სჯობია, მაგრამ „ღმერთებთან ვერ საუბრობს“, ფეხბურთის გენიოსებს ვერ წვდება და ისიც კარგად გვახსოვს, ევროპის სუპერთასის ფინალურ მატჩში იტალიის „მილანთან“ ისე ამოჰკეტეს, ფეხის გაძრევის საშუალებაც არ მისცეს. და რომარიოც მაშინ მორჩილად, უდრტვინველად შეურიგდა ბედსაც და თავისი გუნდის სამარცხვინო მარცხსაც. ასეთია ორდინარული ფეხბურთელის ხვედრი.

ბიჭიკო ქორქია

დასასრული იქნება.

რა ხდება ქვეყანაზე

● ჯერ კიდევ ცნობილი არაა მიიღებს თუ არა მონაწილეობას აზიის თამაშებში ჩრდილოეთ კორეის სპორტული დელეგაცია (2-16 ოქტომბერი, ხიროსიმა, იაპონია). როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, ეს გადაწყვეტილება უშუალოდ დაკავშირებულია დიდ პოლიტიკასთან. რაც შეეხება ტაივანის, ჰონკონგისა და მაკაოს მონაწილეობას თამაშებში, ეს საკითხი წმინდა ფორმალურია, ვინაიდან იაპონიას აღნიშნულ ქვეყნებთან არა აქვს დიპლომატიური კავშირი, რაც ამომავალი მზის ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროს ჩინოვნიკებს უკრძალავს ვიზების გაცემას. ამჟამად იაპონიის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს მოლაპარაკება აქვს მთავრობასთან ამ შეზღუდვათა დროებითი გაუქმების თაობაზე.

● მსოფლიოს არაერთგზის ჩემპიონი „ფორმულა-1“-ში წარსულში ცნობილი ავსტრიელი ავტომობილისტი ნიკი ლაუდა ამჟამად საკმაოდ მსხვილი მეწარმეა და ამავე დროს, „ფერარის“ კონსულტანტი. როგორც ცნობილი გახდა, „ლაუდა ეირის“ თვითმფრინავებს სისტემატურად გადააქვთ ჰუმანიტარული ტვირთი აზიისა და აფრიკის ქვეყნებში. ამჟამად „ლაუდა ეირის“ თვითმფრინავი პრეზიდენტთან ერთად ემზადება რუანდაში გასაფრენად. წასაღებია ჰუმანიტარული მედიკამენტებისა და პროდუქტების დიდი პარტია, დაახლოებით 35 ტონა.

● მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ბრაზილიელმა რომარიომ ვერ იქნა და ვერ მოახერხა ბარსელონაში ჩასვლა. ამასთან დაკავშირებით საკმაოდ გართულდა ურთიერთობა ფეხბურთელსა და „ბარსელონას“ მწვრთნელს იოჰან კრუიფს შორის. ბოლოს და ბოლოს, 20 აგვისტოს ბრაზილიელმა ჩააღწია ბარსელონას, მაგრამ დაგვიანებისათვის იგი საკმაოდ დიდ ჯარიმას გადაიხდის.

● იმის შიშით, რომ ჩეჩნეთში არასტაბილური პოლიტიკური მდგომარეობაა და ყოველ წუთს მოსალოდნელია სიტუაციის გამწვავება, რუსეთის პროფესიული საფეხბურთო ლიგის ხელმძღვანელებმა წინადადებით მიმართეს რესპუბლიკის გუნდებს კალენდარული მატჩები ნეიტრალურ მინდვრებზე გამართონ. ანალოგიური წინადადებით მიმართეს დაღესტნის გუნდებს, სადაც, როგორც ცნობილია, ქოლერის ეპიდემია მძვინვარებს.

● „ტურ დე ფრანსის“ ოთხგზის ჩემპიონს, თანამედროვეობის ერთ-ერთ უძლიერეს პროფესიონალ ველოსიპედისტს მიგელ ინდურაინს (ესპანეთი) გადაწყვეტილი აქვს უახლოეს დროში იერიში მიიტანოს ერთსაათიანი რბოლის მსოფლიოს რეკორდზე. ინდურაინს ჯერ არ აურჩევია ტრეკი, მაგრამ ფიქრობენ, რომ სარეკორდო რბოლის ასპარეზი ან ბორდოს, ან სან-სებასტიანის ტრეკი იქნება. სამაგიეროდ, ცნობილია, რომ რეკორდის გაუმჯობესებას იგი შეეცდება „პინარელოს“ მარკის ველოსიპედით, რომელიც ახლახან სპეციალურად დაამზადეს საამისოდ.

● როგორც აშშ-ს სოციოლოგიური კვლევის სამსახური იუწყება, მოზრდილი ამერიკელების 44-მა პროცენტმა ნახა ფეხბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატის ერთი მატჩის რეპორტაჟი მაინც. გამოკითხულთა 53-მა პროცენტმა აღიარა, რომ მოეწონა ევროპული ფეხბურთი და წინააღმდეგი არ იქნებიან თუ იგი ამერიკაშიც გავრცელდება. იმავე გამოკითხულთაგან მხოლოდ 25 პროცენტმა იცოდა წინასწარ, რომ ამერიკაში ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატი უნდა გამართულიყო.

● პრაღის ევროპული ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსნებმა სპორტულ წყვილებში (ფიგურული ციგურაობა) პეგი შვარცმა და ალექსანდრ კენიგმა (გერმანია) განაცხადეს, რომ თავს ანებებენ სპორტს. 22 წლის შვარცი გაისად დედა გახდება.

რა ხდება ქვეყანაზე

გაზეთის დღევანდელი ნომერი აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემით.

ხელმძღვანელი: გ. სიმონიშვილი. შემსრულებლები: ე. მანგოშვილი, ნ. რამიშვილი.

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

მაია აზარაშვილი — არაოფიციალური დედოფალი

ევროპის მძლეოსანთა წლევანდელ ჩემპიონატში, რომელიც ჰელსინკში რვა დღე მიმდინარეობდა (7-14 აგვისტო), საქართველოს ორი სპორტსმენი ასპარეზობდა, სპრინტერი მაია აზარაშვილი და ბირთვის მკვრელი ელვირა ურუსოვა. მაგრამ ჩემპიონატის გახსნის საზეიმო ცერემონიალზე ჩვენი დელეგაციის შემადგენლობაში იყო მხოლოდ ერთი წარმომადგენელი (ე. ურუსოვა) და ერთიც ხელმძღვანელი (გაზეთ „დრონის“ ჟურნალისტი და საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის თანამშრომელი გიორგი ჩოჩიშვილი, რომელიც ფინეთში, ბუნებრივია, თავისი ფულით წავიდა). საქმე ის გახლავთ, რომ მაია აზარაშვილი, რომელიც ამჟამად გერმანიაში იმყოფება და კონტრაქტს აფორმებს ქალაქ აახენის კლუბთან, ოდნავ დაგვიანებით ჩავიდა ჰელსინკში და გახსნის ცერემონიალში მონაწილეობა ვერ მიიღო.

თუმცა ამას არ შეუშლია მისთვის ხელი, სულ მალე ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მძლეოსანი გამხდარიყო. ამაში, როგორც გიორგი ჩოჩიშვილმა გაგვანდო საიდუმლო, „დამნაშავე აღმოჩნდა“ მისი გარეგნობა და რბენის საოცრად მსუბუქი, ელეგანტური მანერა. დიახ, როდესაც მაყურებელს სურს შეიქმნას მისთვის მისაღები იდეალური სპორტსმენის სახე, იგი სპორტულ მონაცემებთან ერთად გარკვეულ უპირატესობას გარეგნულ მხარესაც ანიჭებს. ჩვენი თანამემამულე კი, რა დაგიმალოთ და მძლეოსანთა საკმაოდ ერთფეროვან მწყობრში ერთობ ეფექტურად გამოიყურებოდა. ამიტომაც იყო, რომ მას, ხშირად აჩვენებდნენ ტელევიზიით, ამიტომ აწუხებდნენ მას უფრო ხშირად ჟურნალისტები და ამიტომ იბეჭდებოდა გაზეთებში მისი პორტრეტები წამდაუწუმ. ერთი სიტყვით, მაია აზარაშვილმა ევროპის ჩემპიონატზე ეფექტი მოახდინა.

რამდენიმე სიტყვა მისი გამოსვლის სპორტულ ნაწილზე, რომელიც ჩვენი აზრით და იმავე გიორგი ჩოჩიშვილის დასტურით არანაკლებ ეფექტური იყო (მაიამ მონაწილეობა მიიღო მხოლოდ 200 მეტრზე რბენაში).

დავიწყოთ იმით, რომ წინასწარი გარბენების შემდეგ (იგი ოთხ ჯგუფად ჩატარდა) მაიას მეორე შედეგი აღმოაჩნდა ჩემპიონატის მთავარი ფავორიტის ირინა პრივალოვას (რუსეთი) შემდეგ. პირველ ჯგუფში იმარჯვა უკრაინელმა ზინა ტარნოპოლსკაიამ — 23,33, მეორეში — გალინა მალჩუგინამ (რუსეთი) — 23,32; მესამეში — ირინა პრივალოვამ — 22,93 (აქ მაია მეორე იყო — 23,17); მეოთხეში — გერმანელმა სილკე კნოლმა — 23,25.

ნახევარფინალში ორ ჯგუფად მოასპარეზე ფინალისტებმა ასეთი შედეგები აჩვენეს:

პირველი ჯგუფი. 1. სილკე კნოლი (გერმანია) — 22,75; 2. გალინა მალჩუგინა (რუსეთი) — 22,90; 3. ლუკრეცია ჯარდიმი (პორტუგალია) — 23,25; 4. ზლატკა გეორგიევა (ბულგარეთი) — 23,29.

მეორე ჯგუფი. 1. ირინა პრივალოვა (რუსეთი) — 22,61; 2. ზინა ტარნოპოლსკაია (უკრაინა) — 23,01; 3. მაია აზარაშვილი (საქართველო) — 23,24; 4. სანა ჰერნესნიემი (ფინეთი) — 23,28.

ფინალში კი ადგილები განაწილდა ასე:

1. ი. პრივალოვა — 22,32, 2. ზ. ტარნოპოლსკაია — 22,77, 3. გ. მალჩუგინა — 22,90, 4. ს. კნოლი — 22,99, 5. მ. აზარაშვილი — 23,01, 6. ს. ჰერნესნიემი — 23,24, 7. ლ. ჯარდიმი — 23,28, 8. ზ. გეორგიევა — 23,46.

რა შეიძლება ითქვას ამ შედეგზე? ევროპის ჩემპიონატის ფინალში მოხვედრა თავისთავად იმდენად მნიშვნელოვანი მოვლენაა და საპატიო წარმატება, რომ დამატებით რეკომენდაციებს, ალბათ, არც საჭიროებს. მაგრამ ის მაინც უნდა ვთქვათ, რომ ფინალურ გარბენში ფინიშამდე 15 მეტრი ადრე მაია აზარაშვილი მესამე იყო და სწორედ ამ მონაკვეთზე გადაუსწრეს მას მალჩუგინამ და კნოლმა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ აზარაშვილს ობიექტურად უკეთესი შედეგის ჩვენებაც შეუძლია, მაგრამ ამ შეჯიბრებისათვის ყოველმხრივ მომზადებული არ იყო, რაც უპირველეს ყოვლისა მის ფიზიკურ გამძლეობას დაეტყო.

ორიოდე სიტყვა ელვირა ურუსოვაზეც. თბილისელმა ბირთვის მკვრელმა ჰელსინკში თავის შესაძლებლობებზე გაცილებით სუსტად იასპარეზა. გაცილებით სუსტადო ვამბობთ იმიტომ, რომ მისი ყოველდღიური, სავარჯიშო შედეგი ფინალში გასვლის უფლებას იძლეოდა. თბილისში, ჰელსინკთან შედარებით, იგი თითქმის ორი მეტრით უკეთეს შედეგს აჩვენებდა. ასეთ მოულოდნელ ტრანსფორმაციას აქვს მხოლოდ ერთი და ისიც ფსიქოლოგიური მიზეზი: ელვირა პირველად გავიდა ევროპაში და პირველად მონაწილეობდა ესოდენ პრესტიჟულ ასპარეზობაში. გთავაზობთ მის მიერ სერიებში ნაჩვენებ სამ შედეგს:

15,84; 15,37; 16,01.

საქართველომ, ევროპის ჩემპიონატის გუნდურ ჩათვლაში, მაია აზარაშვილის წყალობით ავსტრიის გუნდთან ერთად 4 ქულა დააგროვა და გაიყო 30-ე-31-ე ადგილები. ამასთან, უკან ჩამოიტოვა ისლანდია, ისრაელი, მოლდოვა, ესტონეთი და კიდევ რამდენიმე ქვეყანა, რომლებსაც, საერთოდ არ ჰქონდათ ჩათვლა მიღებული. ესეც თავისთავად ყურადსაღები ფაქტია: ერთი მონაწილით, ერთი შედეგით 30-ე ადგილი ევროპაში!

დასასრულს გთავაზობთ ათ საუკეთესო გუნდურ შედეგს:

	ო.	ვ.	ბ.	ქ.
რუსეთი	10	8	7	292
გერმანია	5	4	5	191
დიდი ბრიტ.	6	5	2	145
უკრაინა	3	6	3	122
საფრანგეთი	4	3	2	102
იტალია	2	3	3	92
ესპანეთი	3	2	4	78
ნორვეგია	3	2	1	58
ბულგარეთი	2	-	3	53
პორტუგალია	2	1	-	51

მხოლოდ ტექნიკური შედეგები

● ველოსპორტი. პალერმო. მსოფლიოს ჩემპიონატი. ვაჟები. 1. საგზატკეცილო რბოლა (გუნდური) 100 კმ. მოყვარულები. 1. იტალია (ჯანლუკა კოლომბო, დარიო ანდრიოტო, ჯანფრანკო კონტრი, კრისტიან სალვატო) — 1:57,54; 2. საფრანგეთი — 2:00.42 3. გერმანია — 2:00.55. გიტი 1000 მ. (ადგილიდან). 1. ფლორიან რუსო (საფრანგეთი) — 1.03,163.

● ფრენბურთი. ქალები. მსოფლიოს ლიგა — „გრან-პრი“. ჯგუფური ტურნირები. სამი ტურის შემდეგ. I ჯგუფი. კუბა — 6 ქულა, იაპონია — 5, რუსეთი — 4, ტაივანი — 3; II ჯგუფი. ბრაზილია — 6, ჩინეთი — 5, ჰოლანდია — 4, პერუ — 3; III ჯგუფი. აშშ — 6, სამხრეთ კორეა — 5, იტალია — 4, გერმანია — 3.

● მოტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატის ეტაპი. ბრნო. 250 კბ.სმ. კლასის მოტოციკლები. 1 მასიმილიანო ბიაჯი (იტალია) — 42.09,445; 2. რალფ ვალმანი (გერმანია) — 42.15,870; 3. ჟან ფილიპ რუგია (საფრანგეთი) — 42.19,028. საერთო ჯამში: 1. მასიმილიანო ბიაჯი — 169 ქულა, 2. ლორის კაპიროსი (იტალია) — 168, 3. ტადიუკი ოკადა — იაპონია — 163.

● წყლის თხილამურები. აშშ-ს ღია ჩემპიონატი. უესტ-პალმ-ბიჩი. ფიგურული სრიალი. 1. პატრის მარტენი (საფრანგეთი) — 2841,1 ქულა, 2. ჯარეტ ლეველინი — 2735,7, 3. მეტ რინი (ორივე — კანადა) — 2322,3.

● კეტბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი მოყვარულთა შორის. მანაგუა. ფინალი. კუბა — სამხრეთ კორეა 6:0, მესამე ადგილი. იაპონია — ნიკარაგუა 8:1.

ახალი რეიტინგი

პროფესიულ ჩოგბურთელთა მსოფლიოს ასოციაციამ გამოაქვეყნა ახალი კომპიუტერული რეიტინგები:

ვაჟები
1. პიტ სამპრასი (აშშ) — 5404
2. გორან ივანიშევიჩი (ხორვატია) — 3182
3. სერხი ბრუგერა (ესპანეთი) — 2860
4. სტეფან ედბერგი (შვეცია) — 2794
5. მიჰაელ შტიხი (გერმანია) — 2720
6. ანდრეი მედვედიევი (უკრაინა) — 2510
7. მაიკლ ჩანგი (აშშ) — 2505
8. ბორის ბეკერი (გერმანია) — 2255
9. ტოდ მარტინი (აშშ) — 2201
10. ჯიმ კურიე (აშშ) — 2108



ქალები
1. შტეფი გრაფი (გერმანია) — 352
2. არანტა სანჩესი (ესპანეთი) — 248
3. კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი) — 224
4. მარტინა ნავრატილოვა (აშშ) — 172
5. კიმიკო დატე (იაპონია) — 132
6. მარი პიერსი (საფრანგეთი) — 128
7. ლინდსეი დევენპორტი (აშშ) — 122
8. იანა ნოვოტნა (ჩეხია) — 118
9. ნატალია ზვერევა (ბელორუსია) — 109
10. გაბრიელა საბატინი (არგენტინა) 106.

ბომბარდირები

კანადაში ახლახან დამთავრებული კალათბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის შედეგებს ჩვენი მკითხველები იცნობენ. „ლელომ“ დაბეჭდა შეჯიბრებასთან დაკავშირებული სხვადასხვაგვარი ტექნიკური ინფორმაცია. დღეს გთავაზობთ საუკეთესო სნაიპერთა ხუთეულს. პირველ სვეტში აღნიშნულია შეხვედრების რაოდენობა, მეორეში — რამდენი ქულა შესძინა გუნდს და მესამეში — საშუალო პროცენტული მაჩვენებელი:

ენდრიუ გეიზი (ავსტრალია)	8	191	23,9
დინო რაჯა (ხორვატია)	8	189	23,6
არიან კამაზეცი (ხორვატია)	8	155	19,4
რეჯი მილერი (აშშ)	8	137	17,1
შაკილ ო'ნილი (აშშ)	8	136	17,0

რა ხდება ქვეყანაზე

● ინგლისის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის ბერტ მილიჩიპის აზრით, ბევრი ფული უარყოფითად მოქმედებს როგორც ფეხბურთელებზე, ისე ამ სპორტის განვითარებაზე საერთოდ. პრეზიდენტი იმ მდგომარეობისათვის, რომელიც დღესდღეობით ფეხბურთშია შექმნილი, ადანაშაულებს იტალიისა და ესპანეთის კლუბებს. მისი აზრით, მნიშვნელოვნად უნდა შემცირდეს კონტრაქტების ღირებულება და ფეხბურთელთა წლიური ხელფასები.

● კოლუმბიის ფეხბურთის ფედერაციამ დანიშნა ეროვნული ნაკრების ახალი მწვრთნელი — ერნან დამიო. ამასთან, მან აღიარა გუნდის მზადების სტრატეგიაში დაშვებული თავისი შეცდომები. აღიარა ისიც, რომ ნაკრები ვერ მოამარაგა ღირსეული, ნამდვილად უძლიერესი ფეხბურთელებით. ფედერაციას გადაწყვეტილი აქვს ამიერიდან არ ჩაერიოს მზადებაში და მწვრთნელს დამოუკიდებელი ასპარეზი შეუქმნას.

● ბუენოს-აირესის ერთ-ერთი დისკოთეკის მფლობელმა 1300 დოლარად შეიძინა მარადონას მაისური, რომელიც მას ეცვა დისკვალიფიკაციის წინ, თავის ბოლო მატჩში ნიგერიასთან. შემოსული თანხა გადაირიცხა საქველმოქმედო ფონდში.

● გაზეთ „დეილი მეილის“ აზრით, არ არის გამორიცხული, რომ ცნობილი ინგლისელი ავტომობილისტი ნაიჯელ მენსელი, რომელიც „ინდიკარის“ სერიაში გამოდის, კვლავ „ფორმულა-1“-ს დაუბრუნდეს. იმავე გაზეთის ცნობით ფრენკ უილიამსმა 1995 წლის სეზონისათვის მას 45 მილიონი დოლარი შესთავაზა. ასეთი კოლოსალური თანხა არასდროს შეუძლევიათ აირტონ სენასა და ალან პროსტისათვის ერთად.

● ესპანეთის ერთ-ერთი ყველაზე დიდი და კომფორტული სტადიონი „ნოუ კამპი“ სეზონის დამთავრებისთანავე დადგა რემონტზე. ახლა რეკონსტრუქცია დამთავრდა, რომლის შემდეგ მოედნის დონემ 2,5 მეტრით დაიწია. ამით გაიზარდა ტრიბუნების ტევადობა 120-დან 127 ათასამდე.

● ბრაზილიის ქალაქ ლოს-გატოსში საქველმოქმედო აუქციონზე ვერ გაიყიდა ბურთი, რომელმაც ამ ქვეყნის ფეხბურთელებს მსოფლიოს ჩემპიონის ოქროს მედლები მოუტანა. არადა, უნიკალური სუვენირის საწყისი ფასი მხოლოდ 3000 დოლარი იყო.

● ჩეკერეზში (ამერიკული შაში) მსოფლიოს აღიარებულ ჩემპიონად ითვლება 67 წლის მეცნიერებათა დოქტორი, ფილადელფიის მკვიდრი მერიონ ტინსლი. 36 წლის განმავლობაში მან წააგო მხოლოდ 9 პარტია, მათ შორის ორი — კომპიუტერთან. ტინსლიმ გადაწყვიტა თავი დაანებოს სპორტს და გზა ახალგაზრდებს დაუთმოს.

რა ხდება ქვეყანაზე

სპორტული ტელეეკრანი

„ოსტანკინო“

27 აგვისტო. 17.55. ფეხბურთი, რუსეთის ჩემპიონატი. „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „კამაზი“ (ნაბერეჟნიე ჩელნი).

28 აგვისტო. 8.15 ოლიმპიური დილა. 8.50. სპორტლოტო. 22.50. „სპორტული უიქ-ენდი“.

„როსია“

26 აგვისტო. 18.55. ფეხბურთი, რუსეთის ჩემპიონატი. „დინამო“ (მოსკოვი) — „სპარტაკი“ (ვლადიკავკაზი). 23.00. სპორტული კარუსელი.

27 აგვისტო. 14.55. ფეხბურთი უსაზღვრებოდ. 23.30. სპორტული კარუსელი.

28 აგვისტო. 15.50. მსოფლიო ჩემპიონატი ავტორბოლაში, „ფორმულა-1“-ის კლასი. 22.20. ფეხბურთი. „მილანი“ (იტალია) — „სამპდორია“ (იტალია).

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380096, მ. კოსტავას, 14. ტელეფონი 99-56-14, 99-56-47. ინდექსი 66435 INDEX. დაიბეჭდა გამომცემლობა „სამშობლოში“